

ანაზომი

გეგმა მ 1:100

სარეკონსტრუქციო შენობა

განათების ბოძი

საკადასტრო წითელი ხაზი



საყრდენი კონსტრუქციის დისლოკაციისა
და საპროექტო გამწვანების გეგმა მ 1:100

პერგოლის საყრდენი სვეტი

განათების ბოძი

საკადასტრო წითელი ხაზი



ღია ჯაფე

გეგმა მ 1:100

პერგოლის საყრდენი სვეტი

განათების ბოძი

საკადასტრო წითელი ხაზი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-011801051**

თარიღი: **10.01.2018**

ადრესატი:
სს საქწყალპროექტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204853943
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მოსაშვილის ქ., №11

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 09 იანვრის #10/01180091697-18 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ გრიგოლ დეისაძის 2017 წლის 30 დეკემბრის საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ ღია კაფის მოწყობის მიზნით, ი. ჭავჭავაძის გამზირი #74/11-ში ბუჩქების გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით სამსახური თანახმაა გაიცეს ნებართვა სს ,,საქწყალპროექტი''ს კუთვნილი ტერიტორიიდან (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #74/11 საკ/კოდ 01.14.11.001.001) გადაირგოს 6 ერთეული ბუჩქოვანი მცენარე (2 ტუხტი, 4 წყავი) მიმდებარედ თქვენსავე ტერიტორიაზე, ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

დამატებით გაცნობებთ, რომ გადარგული მწვანე ნარგავების 1 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ წარმოდგენილი უნდა იქნას გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიგა გიგაშვილი

ს/ს "საქწყალპროექტი"
A/O "ГРУЗВОДПРОЕКТ"
შ[illegible]
вход № 02
"11" 01 2018